ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

34 (05)
ს-29.

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. სექტემბრის 17. № 26 ტფილისი

1548

შინაარსი

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

200. 1934 წლის საშემოდგომო თესვის გეგმის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება

201. სრულიად საკავშირო შენაერთის „ზაგოტზერნოს" სისტემის ტარა-ტომრებით უზრუნველყოფის შესახებ.

განათლება.

202. „მატერიალური კულტურის და ხელოვნების ძეგლთა დაცვის თაობაზე" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

200. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

1934 წლის საშემოდგომო თესვის გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. 1934 წლის საშემოდგომო თესვის გეგმა განისაზღვროს 271.520 ჰექტარის რაოდენობით, აქედან: საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემის საბჭოთა მეურნეობებში—15.830 ჰექტ., კოლექტიურ მეურნეობებში—94,920 ჰექტ.; მათ შორის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლექტიურ მეურნეობებში—69.230 ჰექტ. და ერთპიროვნულ მეურნეობებში—160.770 ჰექტ.; კულტურებისა და სექტორების მიხედვით გეგმა განაწილებულ იქნეს შემდეგნაირად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურები	საბჭოთა მეურნეობანი	კოლმეურნეობანი	მათ შორის სამ. სატრ. სადგ. მიერ მომსახურები-ლი-გასაწევი კოლმეურნეობანი	ერთპიროვნული მეურნეობანი	სულ საკულტ. მეურნეობა სექტორი	ს უ ლ
1	2	3	4	5	6	7
ხორბალი	11.540	85.410	61.990	146.320	231.730	243.270
ქერი	3.090	6.100	4.360	12.420	18.520	21.610
ჭვავი	130	1.260	820	620	18.80	2.010
სულ მარცვლეული .	14.760	92.770	67.170	159.360	252.130	266.890
საკვები ბალახი	630	1.210	1·200	40	1.250	1.880
საკვები ძირნაყოფები . .	70	—	—	—	—	70
ბოსტნები	370	940	860	1.370	2.310	2.680
სულ ნათესები . .	15.830	94.920	69.230	160.770	255.690	271.520

2. დაწესებულ იქნეს 1934 წლის შემოდგომაზე მრავალწლოვან ნარგავთა გაშენებისა და რემონტისა და 1935 წლის გაზაფხულზე გასაშენებლად ნიადაგის მომზადების გეგმა შემდეგი რაოდენობით:

კ ულ ტ ურ ე ბ ი	საბჭოთა მეურნეობანი	კოლმეურნეობანი	მათ შორის სამ. სატრ. სადგ. მიერ მომსახურეგი-ლი-გასაწევი კოლმეურნეობანი	ს ულ
1	2	3	4	5
1. ვენახების გაშენება	90	13	13	103
2. ხეხილის ბაღების გაშენება	40	245	105	285
3. ხეხილის სანერგეების გაშენება	6	—	—	6
4. კეთილშობილი დაფნის გაშენება	—	130	116	130
5. სუბტროპიკული ხეხილის გაშენება	20	—	—	20
6. ბამბუკის გაშენება	31	—	—	31
7. ხეხილის სანამყენე თესვა	6	9	6	15
8. ვენახების რემონტი	227	5	5	232
9. ხეხილის ბაღების რემონტი	90	74	23	164
10. ამერიკული ვაზის სადედეების რემონტი	55	11	8	66
11. სუბტროპიკული ხეხილის ბაღების რემონტი . . .	9	—	—	9
12. ნიადაგის მომზადება 1935 წ. ვენახებისათვის . .	—	202	130	202
13. „ „ ხეხილის ბაღებისთვის . . .	71	880	690	951
14. „ „ ამერიკული ვაზის სადედეებისათვის	—	40	40	40
15. „ „ ხეხილის სანერგეებისათვის . .	16	12	11	28

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი საშემოდგომო კულტურების თესვისა, მრავალწლოვანი ნარგავების გაშენებისა და რემონტისა და ნიადაგის მომზადების განაწილების გეგმა რაიონებისა, კულტურებისა და სექტორების მიხედვით.

4. გამოყოფილ იქნეს კოლექტიურ მეურნეობათა თესვის გეგმიდან 3470 ჰექტ. შემოდგომის ქერი კოლექტიურ მეურნეობათა სასაქონლო ფერმების მტკიცე საკვები ბაზისის სახით, და განთავისუფლებულ იქნეს ეს ნათესები სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო და სხვა ნატურალური ჩაბარებიამგან.

5. დაწესებულ იქნეს 1934 წლის შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს განსახორციელებლად შემდეგი სავალდებულო ღონისძიებანი, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

თ ე ს ლ თ ბ რ უ ნ ვ ა.

6. დაევალოს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს—იმ კოლმეურნეობებში, სადაც 1933 და 1934 წელს დაწესებული იყო თესლთბრუნვა, საშემოდგომო თესვისა და მძრალად მოხვნის გეგმა განსაზღვრონ მიღებული თესლთბრუნვის შესაბამისად.

რათა საშემოდგომო კულტურების თესვა და მშრალად მოხვნა ჩატარებულ იქნეს თესლთბრუნვის შესაბამისად, იმ კოლმეურნეობებში, სადაც თესლთბრუნვა შემოღებულია, მიწათმოწყობა დამთავრდეს არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 1-ისა.

წინადადება მიეცეს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს—უზრუნველყონ კონკრეტული ხელმძღვანელობის გაწევა თესლთბრუნვის შთანერგვისათვის; კატეგორიულად აუკრძალონ კოლექტიურ მეურნეობებს თესვის საწარმოო გეგმის შემხვედრი გეგმებით შეცვლა, რაც არღვევს თესლთბრუნვას; იმ კოლექტიურ მეურნეობებში, სადაც თესლთბრუნვა შემოიღება, უნდა სწარმოებდეს სათესლთბრუნვო მინდვრების სავალდებულო მძრალად მოხვნა სიმინდის და გაზაფხულის ქერის დასათესად.

საშემოდგომო კულტურებისათვის ნიადაგის მომზადება.

7. 1934 წელს საშემოდგომო კულტურების დასათესად დანიშნული ნასვენის (ნაჩხატის) და ნაპურალის (ნაწვერალის) მოხვნა ყველა რაიონში დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 15-ისა.

8. სათოხნი კულტურებისაგან (სიმინდი. მზესუმზირა, ჭარხალი, კარტოფილი) განთავისუფლებულ მიწებზე და საშემოდგომო პურეულისათვის დანიშნულ მიწებზე მოხვნა ჩატარებულ იქნეს უშუალოდ მოსავლის აღების შემდეგ იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ამ მიწებზე საშემოდგომო კულტურების დათესვა არა უგვიანეს თესვისათვის დაწესებული საბოლოო ვადებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საშემოდგომო კულტურებისათვის ნასვენის (ნაჩხატის) და ნაპურალის (ნაწვერალის) მოხვნის სიღრმე განისაზღვროს არა ნაკლებ 18—20 სანტიმეტრისა; მოხვნის სიღრმის შემცირება შეიძლება მხოლოდ იმ ნაკვეთებზე, სადაც სახნავი ფენის სისქე 20 სანტიმეტრზე ნაკლებია.

10. დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნეს ანეულის დამუშავება (აოშვა, კულტივაცია) 8—10 სანტიმეტრის სიღრმეზე, ბელტის გადაუბრუნებლად, და ეს სამუშაო დამთავრდეს არა უგვიანეს აგვისტოს 25-ისა; შემდგომში ხნულის დამუშავება ჩატარებულ იქნეს ყველა იმ შემთხვევაში, როცა ხნულზე სარეველა ბალახეულობა აღმოცენდება; ანეულის დამუშავების დროს იმ ნაკვეთებზე, სადაც მოდებულია ფესვუროვანი სარეველა ბალახი (შალაფა და კაპუეტა-ბალახი), უნდა ერიდნენ თეფშებიანი ფარცხის ხმარებას.

ჩატარებულ იქნეს გაფხვიერება უშუალოდ თესვის წინ; ამასთანავე მიღწეულ უნდა იქნეს ხნულის სრული მომზადება და მოსწორება; იმ ნაკვეთებზე, სადაც თესვა გაბნევით სწარმოებს. თესვისწინა გაფხვიერება ჩატარებულ იქნეს თესვის წინ უშუალოდ—ისე, რომ მიღწეულ იქნეს მხოლოდ საჭირო მომზადება და არა ხნულის ზედაპირის მოსწორება; გაბნევით თესვის დროს თესლის სათანადო სიღრმეზე მოთავსება უნდა სწარმოებდეს წინასწარი ან შემდგომი კულტივაციით და ფარცხვით.

11. ჩატარებულ იქნეს თესვისწინა გადახვნა 8—10 დღით ადრე თესვის დაწყებამდე; აოშვილი ნაკვეთების ძირითადი მოხვნა ჩატარებულ იქნეს 12—15 დღით ადრე თესვის დაწყებამდე.

12. ჩატარებულ იქნეს ყველგან ხნულის გაწმენდა სიმინდისა და მზეუჭვრიტის ღეროებისა და ფესვებისაგან (ღრმა ჩახვნით ან ხელით ამოგლეჯით), ბუჩქებისაგან (ამოძირკვა) და ქვებისაგან, ყველაზე უფრო მავნებელი მრავალწლოვანი სარეველა ბალახის ამოგლეჯა, მიჯნებისა და გზების კიდურების მოთიბვა და მოხვნა, არხების შემოთიბვა, ხნულის მახლობლად მდებარე ცარიელი ადგილების მოთიბვა და გადახვნა და ფესვუროვანი სარეველა ბალახის და ბაძგის (ძალალი ბალახი) ფესვების აუცილებელი დაწვა, უკეთუ ბაძგი საქონლის საკვებად არ ვარგა.

13. აუცილებლად ჩატარებულ იქნეს სარწყავ ნაკვეთებზე ნიადაგის მოსწორება თესვის დაწყებამდე.

თესვის ვადები.

14. საშემოდგომო პურეულის თესვა ჩატარებულ იქნეს შემდეგ ვადებზე:

ა) ახალციხისა, ადიგენისა, ასპინძისა, სტალინისისა, კასპისა, ბორჯომისა, თელავისა, ტფილისისა, დუშეთისა, აღბულაღისა, საგარეჯოს, ბაშკიჩეთისა და თიანეთის რაიონებში და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში—ა/წ. სექტემბრის 15-დან ოქტომბრის 15-მდე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გორის რაიონში—ა/წ. აგვისტოს 25-დან ოქტომბრის 15-მდე:

გ) გურჯაანისა, სიღნაღისა, ყვარლისა, ლაგოდეხისა, ლუქსემბურგისა, ყარაიას და ბორჩალოს რაიონებში—ა/წ. სექტემბრის 20-დან ოქტომბრის 25-მდე.

15. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებს, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს—დაადიფერენცონ თესვის დაწყებისა და დამთავრების ვადები რაიონის ფარგლებში ცალკეულ მასივებზე და ნაკვეთებზე, სოფლებზე და კოლმეურნეობებზე, ნიადაგისა, კლიმატური და სხვა პირობების მიხედვით.

წინადადება მიეცეს საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს, პარტიის რაიონულ კომიტეტებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და პოლიტგანყოფილებებს—გარდაქმნან დაუყოვნებლივ მუშაობა ისე, რომ სავსებით უზრუნველყოფილ იქნეს თესვის გეგმის დადგენილ ვადებზე შესრულება, და გაშალონ დაუყოვნებლივ საანეულო ხვნა და ნიადაგის მომზადება საშემოდგომო თესვისათვის.

თესვის ნორმები.

16. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქ. კ. პ. (ბ) რაიონულ კომიტეტებს, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს—განსაზღვრონ საშემოდგომო პურეულის მწკრივად და გაბნევით თესვის ისეთი ნორმები, რაც უზრუნველჰყოფს ყანის სათანადო სიხშირეს, თესლის ჯიშისა, ხარისხისა, ნიადაგისა და სხვა პირობების მიხედვით, და განახორციელონ ეს ნორმები სავალდებულო აგროწესების სახით.

მწკრივად თესვა.

17. ჩატარებულ იქნეს საშემოდგომო მარცვლეულის მწკრივად თესვა 43.250 ჰექტ. ფართობზე; აქედან: საბჭოთა მეურნეობებში—ნათესების მთელ ფართობზე—14.660 ჰექტ., კოლმეურნეობებში—28.590 ჰექტ.; მათ შორის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლმეურნეობებში—26.170ჰექტ.

თესლის გაწმენდა და შეწამლვა.

18. ჩატარებულ იქნეს საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მთელი სათესი მასალის სავალდებულო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწმენდა წინასწარ გამნიავებელ-დამხარისხებლებზე და შემდეგ-ტრიერებზე და შეწამლვა; დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნეს თესლის გაწმენდა და მშრალი წესით შეწამლვა და დამთავრდეს 15-20 დღით ადრე თესვის დაწყებამდე; გაწმენდისა და მშრალი წესით შეწამლვის მუშაობა მოეწყოს ისე, რომ შეწამლვა სწარმოებდეს უშუალოდ მარცვლის გაწმენდის შემდეგ.

დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს თავის დროზე სასოფლო საბჭოები გამნიავებელ-დამხარისხებლებით.

19. ერთპიროვნულ მეურნეობათა თესლის გაწმენდისა და შეწამლვის უზრუნველსაყოფად დაევალოს სასოფლო საბჭოებს შეიძინონ გამნიავებელ-დამხარისხებლები, ტრიერები, შემწამვლელები და შხამები სათანადო რაოდენობით და მოაწყონ მარცვალსაწმენდი სტაციონალური და მოძრავი პუნქტები. აღნიშნულ ლონისძიებათა ჩატარებისათვის საჭირო სახსარი გამონახულ იქნეს ერთპიროვნული მეურნეობებისათვის მიზნობრივი შენატანის დადგენით.

ხარისხოვანი თესლით საშემოდგომო ხორბლის თესვა და მეთესლეობის ნათესები კოლმეურნეობებში.

20. ჩატარებულ იქნეს ხარისხოვანი თესლით დათესვა საშემოდგომო ხორბლისა: „უკრაინკა"—11.850 ჰექტარზე, „კოოპერატორკა"—15.270 ჰექტ., „დოლის პური"—80 ჰექტ., „გელათის პური"—500 ჰექტ., „აპულიკუმი 77/2-200 ჰექტ., სულ—27.900 ჰექტარზე, აქედან სახელმწიფო ხარისხოვანი ფონდის ხაზით: „უკრაინკა"—1.400 ჰექტ., „კოოპერატორკა"—1.520 ჰექტ., „დოლის პური"—80 ჰექტ. „გელათის პური"—100 ჰექტ., „აპულიკუმი 77/2"—200 ჰექტ., სულ—27.900 ჰექტარზე; აქედან სახელმწიფო ხარისხოვანი ფონდის ხაზით: „უკრაინკა"—1,400 ჰექტ., „კოოპერატორკა"—1.500 ჰექტ., „დოლის პური"—80 ჰექტ., „გელათის პური"—100 ჰექტ., „აპულიკუმი 77/2"—200 ჰექტ.; სამანქანო-სატრაქტორო სადგურთა ფონდის ხაზით: „უკრაინკა", „კოოპერატორკა"—და „გელათის პური"—3.000 ჰექტ.

21. განისაზღვროს სახელმწიფო ხარისხოვანი ფონდის მეთესლეობის ნათესები საკვები ბალახეულისა 400 ჰექტარის რაოდენობით (იონჯა—200 ჰექტ. და შემოდგომის ცერცველა—200 ჰექტ). და ბოსტნეული კულტურებისა—125 ჰექტარის რაოდენობით.

22. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—შეიმუშაოს საკითხი ხარისხოვანი ქერის თესლის შთანერგვის შესახებ, შეცვალოს-რა მცირემოსავლიანი და დაბალტანოვანი ჯიშები ორრიგოვანი ქერისა სათანადო დიდმოსავლიანი ოთხრიგოვანი და ექვსრიგოვანი ქერის თესლით. აგრეთვე დაუყოვნებლივ გამოარკვიოს საკითხი დაბალხარისხოვანი ქერის მაღალხარისხოვანი ქერის თესლზე გაცვლის შესაძლებლობის შესახებ.

მავნებლებთან ბრძოლა.

23. ჩატარებულ იქნეს მინდვრის თაგვებთან ბრძოლა 107.300 ჰექტარზე.

24. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—ჩაატაროს გამოკვლევა იმ ფართობებისა, სადაც მოდებულია სოფლის მეურნეობის მავნებლები: კალია, ველის ფარვანა, კარადრინა, ჩორი და სხვ.

25. ჩატარებულ იქნეს საბჭოთა, კოლექტიურ და ერთპიროვნულ მეურნეობებში ბელლის მავნებელთა გამოკვლევა და ტკიპებისა, ცხვირგრძელა ჭიისა და სხვა მავნებელთა აღმოჩენის შემთხვევაში განხორციელდეს ბელლებისა და მარცვლის დეზინფექცია 100 პროცენტით.

ამასთანავე, საბჭოთა, კოლექტიურ და ერთპიროვნულ მეურნეობებში ჩატარებულ იქნეს ყველა ბელლის დერატიზაცია (ვირთაგვებთან ბრძოლა).

თესლის სასოფლო-სამეურნეო ვარგისიანობის შემოწმება.

26. ჩატარებულ იქნეს საშემოდგომო ხორბლისა და ქერის თესლის მთელი დასათესი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო ვარგისიანობის (აღმოცენებისა და დანაგვიანების) შემოწმება.

27. საბჭოთა მეურნეობებში თესლის სასოფლო-სამეურნეო ვარგისიანობის შემოწმების მიზნით დაევალოს საბჭოთა მეურნეობების შენაერთებს—მოაწყონ ყველა საბჭოთა მეურნეობაში თესლის საკონტროლო ლაბორატორიები.

28. დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ახალციხისა, სტალინისისა, გორისა, კასპისა, გურჯაანისა, სიღნაღისა, ყვარლისა, ლაგოდეხისა, საგარეჯოს, ლუქსემბურგისა, ბორჩალოს, თიანეთისა და ენუქიძის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—მოაწყონ არა უგვიანეს ა/წ. აგვისტოს 15-ისა თესლის საკონტროლო ლაბორატორიები კოლექტიურ და ერთპიროვნულ მეურნეობათა თესლის სასოფლო-სამეურნეო ვარგისიანობის შესამოწმებლად. თავიანთ რაიონში თესლის სასოფლო-სამეურნეო ვარგისიანობის შემოწმებასთან ერთად დაეკისროს ამ ლაბორატორიებს მეზობელ რაიონთა მომსახურეობაც, სახელდობრ:

ახალციხის თესლის საკონტროლო ლაბორატორიას—ადიგენისა და ასპინძის რაიონებისა,

სტალინისის	„	„	ბორჯომის რაიონისა,
ლუქსემბურგის	„	„	ბაშკიჩეთის „
ენუქიძის	„	„	ცაგერის და ონის რაიონებისა,
სტალინირის	„	„	სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის და ყველა რაიონისა.

დაევალოს სახელმწიფო ხარისხოვან ფონდს მოაწყოს თელავის სათესლე ბაზისთან თესლის საკონტროლო ლაბორატორია, რომელსაც დაეკისროს თელავის რაიონის მომსახურეობა.

ამხ. ლ. ბერიას სახელობის ყარაიას საბჭოთა მეურნეობის თესლის საკონტროლო ლაბორატორიას დაეკისროს მთელი ყარაიას რაიონის მომსახურეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) 3—4 კვირიანი კურსების მოწყობა რაიონებისა და საბჭოთა მეურნეობების თესლის საკონტროლო ლაბორატორიებისათვის აგრომუშაკების გარდასამზადებლად;

ბ) თესლის საკონტროლო ლაბორატორიების მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა;

გ) ყველა ლაბორატორიის უზრუნველყოფა ინსტრუქციებით, ბლანკებით და ხელსაწყოებით, რაც საჭირო იქნება ლაბორატორიაში მიღებული ნიმუშების ანალიზების ჩასატარებლად.

ნაკელის შეტანა.

30. დაწესებულ იქნეს შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს ნაკელის შეტანის გეგმა, მისი აუცილებელი ჩახვნით—163.200 ურმის რაოდენობით. ნაკელი პირველ ყოვლისა შეტანილ უნდა იქნეს ბოსტნეულისა, ბამბისა და შაქრის ჭარხლის კულტურებსა და ვენახებში.

საგაზაფხულო კულტურებისათვის ნიადაგის მძრალად მოხვნა.

31. ბამბისათვის ნიადაგის მძრალად მოხვნა ბორჩალოს რაიონში ჩატარებულ იქნეს 3.000 ჰექტარ ფართობზე; აქედან: სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლექტიურ მეურნეობებში—2.200 ჰექტ. და ერთპიროვნულ მეურნეობებში—800 ჰექტ.

მძრალად მოხვნა ბამბისათვის ჩატარებულ იქნეს 18-20 სანტიმეტრის სიღრმეზე და დამთავრდეს არა უგვიანეს ა/წ ნოემბრის 15-ისა.

32. შაქრის ჭარხლისათვის მძრალად მოხვნა ჩატარებულ იქნეს 5.000 ჰექტარ ფართობზე; აქედან: სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლექტიურ მეურნეობებში—4.300 ჰექტარზე და ერთპიროვნულ მეურნეობებში—700 ჰექტ.; შაქრის ჭარხლისათვის მძრალად მოხვნა ჩატარებულ იქნეს 20-22 სანტიმეტრის სიღრმეზე და დამთავრდეს არა უგვიანეს ა/წ. ნოემბრის 15-ისა.

33. თამბაქოსათვის ნიადაგის მძრალად მოხვნა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ჩატარებულ იქნეს 3.680 ჰექტარ ფართობზე; აქედან: სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლმეურნეობებში 2.755 ჰექტ. და ერთპიროვნულ მეურნეობებში—925 ჰექტ.; თამბაქოსათვის მძრალად მოხვნა ჩატარებულ იქნეს 18 სანტიმეტრის სიღრმეზე და დამთავრდეს არა უგვიანეს ა/წ ნოემბრის 15-ისა.

34. სხვა საგაზაფხულო კულტურებისათვის მძრალად მოხვნა ჩატარებულ იქნეს 88.740 ჰექტარ ფართობზე; აქედან: საბჭოთა მეურნეობებში-8740 ჰექტ., კოლექტიურ მეურნეობებში—41.850 ჰექტ. მათ შორის სამანქანო-სატრაქტორო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლმეურნეობებში—36.265 ჰექტ., და ერთპიროვნულ მეურნეობებში—37.550 ჰექტ.

მძრალად მოხვნა პირველ რიგში ჩატარებულ იქნეს ბოსტნეულისა, კარტოფილისა, მზესუჭვრიტისა და მარცვლეული კულტურებისათვის 18-20 სანტიმეტრის სიღრმეზე; მძრალად მოხვნა ყველა რაიონში დამთავრდეს არა უგვიანეს ა/წ. ნოემბრის 15-ისა.

სულ მძრალად მოხვნა ჩატარებულ იქნეს 100.220 ჰექტარ ფართობზე; აქედან: საბჭოთა მეურნეობებში—8.740 ჰექტ., კოლექტიურ მეურნეობებში—46.805 ჰექტ., მათ შორის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლმეურნეობებში—41.220 ჰექტ., და ერთპიროვნულ მეურნეობებში—44.657 ჰექტ.

მარცვლეულის სათესლე და სადაზღვეო ფონდები.

35. სათესლე ფონდების დაგროვების გეგმა კოლმეურნეობებში განისაზღვროს:

საშემოდგომო ხორბლისა	— 134.850	ცენტნერით
საშემოდგომო ქერისა	— 9.827	„
საგაზაფხულო ხორბლისა	— 35.700	„
საგაზაფხულო ქერისა	— 49.440	„
ასლისა	— 2.760	„
ფეტვისა	— 570	„
შვრიისა	— 1.400	„

სულ 234.560 ცენტნ., მათ შორის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლმეურნეობებში—138.117 ცენტნ.

36. 15%-იანი სადაზღვევო ფონდების დაგროვების გეგმა კოლექტიურ მეურნეობებში და ერთპიროვნულ მეურნეობებში დამტკიცებულ იქნეს: საშემოდგომო ხორბლეულისა—52.758 ცენტნ., საშემოდგომო ქერისა—4.327 ცენტნ., საგაზაფხულო ხორბლისა—16.040 ცენტნ., საგაზაფხულო ქერისა—23.560 ცენტნ., ასლისა—2.130 ცენტნ., ფეტვისა—180 ცენტნ., შვრიისა—460 ცენტნ., ხოლო სულ —99.460 ცენტნ.

37. სათესლე და სადაზღვევო ფონდების დაგროვება დაწესებულ იქნეს ყველგან გალეწვის დასრულებამდე და დამთავრდეს: გურჯაანისა, სიღნაღისა, თელავისა, ყვარლისა, ლაგოდეხისა, ბორჩალოს, ლუქსემბურგისა, საგარეჯოს, კასპისა, ახალციხისა, ადიგენისა, ტფილისისა, ყარაიას, სტალინისისა, გორისა, წალკისა, დუშეთისა, აღბულახისა, ბაშკიჩეთისა, ბორჯომისა, ჭიათურისა, ცაგერისა, ონისა და ენუქიძის რაიონებში და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში—არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 15-ისა, ხოლო ახალქალაქისა, ბოგდანოვკისა, ტოლოშისა და ხევის რაიონებში—არა უგვიანეს ა/წ. ოქტომბრის 1-ისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

38. წინადადება მიეცეს სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ მასრულებელ კომიტეტს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს— გამოარკვიონ ერთი თვის ვადაზე წინა წლებში დაგროვილი სადაზღვევო ფონდებისა და გაცემული სესხის რაოდენობა, უზრუნველყონ გაცემული სესხის დაბრუნება და მოახდინონ 1931 და 1932 წლებში დაგროვილი მარცვლეულის განახლება—ბეღლებში შენახული სადაზღვევო სათესლე მასალის გადაცვლით მიმდინარე წლის მოსავლის სათანადო კონდიციის სათესლე მარცვალზე.

39. გაფუჭებისა და მავნებლებისაგან მარცვლეულის დაცვის მიზნით სადაზღვევო სათესლე მასალის ჩაყრამდე მარცვალსაცავები დეზინფექცირებულ უნდა იქნეს.

საკვები ბალახის თესლის დაგროვება და ჩაყრა.

40. საკვები ბალახის ნათესების საერთო ფართობიდან გამოიყოს და დატოვებულ იქნეს სათესლეებად საუკეთესო ნაკვეთები 7.907 ჰექტარის რაოდენობით; აქედან საბჭოთა მეურნეობებში—1.018 ჰექტ., კოლექტიურ მეურნეობებში—5.414 ჰექტ. და ერთპიროვნულ მეურნეობებში—1.475 ჰექტ.

41. საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა შესრულებისა და თესლის ჩაბარების შემდეგ 6.676 ცენტნერის რაოდენობით—ჩაყრილ იქნეს სათესლე ფონდები კოლექტიურ და ერთპიროვნულ მეურნეობებში—30.798 ცენტნერის რაოდენობით.

ბალახის სათესლე ფონდები კოლმეურნეობებში ჩაყრილ იქნეს განსაზოგადოებულ ბეღლებში, ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობებში—თვით ამ მეურნეობათა ბეღლებში; ამასთანავე, მათ ჩამოერთვას საშემნახველო ხელწერილები თესლის შენახვის უზრუნველყოფის მიზნით.

42. ველურ ბალახთა თესლის შეგროვების გეგმა განისაზღვროს 35,1 ცენტნერის რაოდენობით; აქედან საბჭოთა მეურნეობებში—3,75 ცენტნ. და საკოლმეურნეო-საგლეხო სექტორში 31,35 ცენტნ.; მათ შორის: ახალქალაქის რაიონში—5,0 ცენტნ., ბოგდანოვკისა—3,0 ცენტნ., ახალციხისა—2,0 ცენტნ., ადიგენისა—1,0 ცენტნ., ბორჯომისა—1,0 ცენტნ., სტალინისისა—2,0 ცენტნ., გორისა—1,0 ცენტნ., კასპისა—1,0 ცენტნ. ბორჩალოს—2,5 ცენტნ., საგარეჯოს—0,5 ცენტნ., ალბულახისა—2,0 ცენტნ., ბაშკიჩეთისა—5,0 ცენტნ., წალკისა—3,5 ცენტნ. და სილნაღისა—0,1 ცენტნ.,აფხაზეთის სსრ-ში—0,5 ცენტნ., აჭარისტანის სსრ-ში— 2,5 ცენტნ. და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში—0,5 ცენტნ.

საწარმოო დავალებანი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სატრაქტორო სამუშაოთა მიხედვით.

43. 1934 წლის შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობა განისა-

ზღვროს,—მესამე კვარტალში შემოსაზიდი ტრაქტორების ანგარიშში მიღებით საშემოდგომო კულტურებისათვის ნიადაგის მოხვნისა და მძრალად მოხვნის კვალობაზე—54.550 ჰექტარისა და მწკრივად თესვის კვალობაზე—12.820 ჰექტ. რაოდენობით (სამკორპუსიანი გუთნით მოხვნაზე გადატანით—81.780 ჰექტ.) ეს სამუშაოები ცალკეულ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს შორის განაწილებულ იქნეს შემდეგნაირად:

ჰ ე ქ ტ ა რ ო ბ ი თ

სამანქანო-სატრაქტორო სადგურები	მ ო ხ ვ ნ ა	მწკრივად თესვა	მოხვნა და მწკრივად თესვა სამკორპუსიანი გუთნით მოხვნაზე გადატანით.
1	2	3	4
1. ახალქალაქისა	1.810	—	2.630
2. აგარისა	5.300	1.150	8.760
3. გორისა	5.760	1.000	7.500
4. კასპისა	3.370	530	4.950
5. წნორისა	6.000	1.770	14.400
6. ულიანოვკისა	4.200	450	6.070
7. გურჯაანისა	2.300	1.000	3.800
8. თელავისა	1.700	1.000	2.700
9. ყვარლისა	1.800	680	2.480
10. ლაგოდეხისა	7.350	—	5.700
11. ტფილისისა	3.320	1.260	5.100
12. ყარაიას	2.500	680	3.740
13. ბორჩალოს	4.420	1.590	6.900
14. საგარეჯოს	1.880	1.060	2.990
15. სტალინირისა	2.840	650	4.150
	54.550	12.823	81.780

ს ა ს ო ფ ლ ო-ს ა მ ე უ რ ნ ე ო მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი ს დ ა ი ა რ ა ღ ე ბ ი ს რ ე მ ო ნ ტ ი.

44. წინადადება მიეცეს სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—აღრიცხონ ნიადაგის დამმუშავებელი, მარცვალსაწმენდი და საკოლმეურნეო-საგლეხო სათესი ინვენტარის რაოდენობა და მდგომარეობა და დაუყოვნებლივ მოაწყონ კოლექტიური მეურნეობებისა, სასოფლო საბჭოებისა და საარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებების კუთვნილი ტრიერების რემონტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან და საქართველოს სსრ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად, გააზუსტოს აგვისტოს ა/წ. 20-ისათვის კოლექტიური მეურნეობის გუთნების, ტრიერების და სათესი მანქანებისა და ერთპიროვნული მეურნეობების გუთნების რემონტის გეგმა.

45. საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებმა უნდა უზრუნველყონ ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღის მოვლის სავალდებულო წესების უცილობელი დაცვა შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1933 წლის სექტემბრის 21-ის დადგენილების შესაბამისად.

სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა დაამთავრონ ა/წ. აგვისტოს 30-მდე სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლექტიური მეურნეობების საწარმოო გეგმებში და საკოლმეურნეო ბრიგადების დავალებებში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა და გაზუსტებათა შეტანა და აგრეთვე ყოველ ერთპიროვნულ მეურნეობამდე გეგმა-განრიგისა და კულაკურ-შეძლებული მეურნეობებამდე მტკიცე დავალებათა მიწვდენა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1934 წ. აგვისტოს 10.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 194 №-ში 1934 წ. აგვისტოს 22.

ვაჭრობა. მომარაგება

201. დადგენილება ს.კ.ს.

სრულიად საკავშირო შენაერთის „ზაგოტზერნოს" სისტემის ტარა-ტომრებით უზრუნველყოფის შესახებ.

1934 წელს პურეულის დამზადების კამპანიის პერიოდში ტარა-ტომრებით სრულიად საკავშირო შენაერთის „ზაგოტზერნოს" სისტემის სასწრაფოდ უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას—დაუბრუნოს, ათი დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, „ზაგოტზერნოს" საქართველოს კონტორას ან მის ადგილობრივ ორგანოებს—კუთვნილებისამებრ—მთლად ის ტარა-ტომრები, რაც მასზე ითვლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინადადება მიეცეს „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას აცნობოს, არა უგვიანეს 1934 წ. სექტემბრის 5-ისა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქ. სსრ-ში იმ ორგანიზაციების სია, რომლებიც არ დააბრუნებენ ზემოაღნიშნულ ვადაზე მათზე ნარიცხ ტარა-ტომრებს, დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მისაცემად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 115 და 117 მუხლების თანახმად.

2. წინადადება მიეცეს სრულიად საკავშირო შენაერთის „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას: ა) მოუსპოს პროდუქციის მიცემა იმ დაწესებულებათ, საწარმოთ და ორგანიზაციათ, რომელნიც არ ჩააბარებენ მათზე ნარიცხ ტარა-ტომრებს, და ბ) შეუფარდოს მტკიცეთ ტარა-ტომრების სასწრაფო დაბრუნების წესების დამრღვევ დაწესებულებათ, საწარმოთ და ორგანიზაციათ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის მიერ დადგენილი სანქცია, ე. ი. ჯარიმა ტარა-ტომრების ათჯერადი ღირებულების რაოდენობით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1934 წ. აგვისტოს 21.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ „კომუნისტის“ 196 №-ში 1934 წ. აგვისტოს 22.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

202. დადგენილება ც.ა.კ.

„მატერიალური კულტურის და ხელოვნების ძეგლთა დაცვის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აგენს:

1. მე 2 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წ. აპრილის 16 დადგენილებისა „მატერიალური კულტურის და ხელოვნების ძეგლთა დაცვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-11 №-ი, მუხ. 115) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. არქეოლოგიურ ძეგლთა (კულტისა, ციხე-სიმაგრისა და სასახლის არქიტექტურისა, ძველ ნაქალაქართა, ნასოფლართა, ნაბინართა, ძველ სამთო დამუშავების ადგილთა, ყურგანთა, ნასაფლართა, ქვის ნაქანდაკევთა ნაგებობათა, სვეტთა, ძველ გამოსახულებათა, ქვისა და კლდის წარწერათა და სხვა მისთ.) და აგრეთვე არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე ნაპოვნ ნივთთა და განძთა რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონტი, რესტავრაცია, გადაკეთება, მოშლა, მოსპობა და გამოყენება სრულიად ებს მარტოოდენ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის წინასწარი ნებართვით.

იმ შემთხვევაში, როდესაც სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის მიერ გაცემულია ნებართვა არქეოლოგიური ძეგლის მოსპობის ან გამოყენების შესახებ, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი განსაზღვრავს ამ ძეგლის მეცნიერულად შესწავლისა და ფიქსაციისათვის საჭირო სამუშაოების მოცულობას (გათხრა, ფოტოგრაფიით გადაღება, გაზომვა და სხვა მისთ.) და აგრეთვე აღნიშნავს იმ სამეცნიერო დაწესებულებას, რომელსაც ეკისრება ამ სამუშაოების აღსრულება.

ძეგლის შესწავლისა და ფიქსაციისათვის საჭირო ხარჯებს გაიღებს ის დაწესებულება, რომელმაც უნდა გამოიყენოს ეს ძეგლი.

2. ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის შენიშვნა დატოვებულ იქნეს ძალაში.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. აგვისტოს 8.
ტფილისი.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1934 წ. № 51 ბ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ., 7/8 ბეჭდვ. ფურც., 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბის ნიშანი.

გადაეცა სტამბას 25/VIII, ხელმოწერილია დასაბეჭდათ 14/IX. ტირაჟი 1.600.

მთავლ. რწმ. ს.—№ 74. საქ. სსრ. სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა შეკვ. № 1297.